წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 18 აგვისტო 1915 წ. № 71

# საქართველო

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 16 აგვისტოს ს. გომში (გურია) გარდაიცვალა

მღვდელი კოსტანტინე ესეს ძე

ღლონტი

რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ; შვილები: **მოსე** და **მაქსიმე** ღლონტი, **მატა** მიქელაშვილისა, შვილი-შვილები: **ივანე**, **თეკლე** და **გიორგი** ღლონტი, **მარიამ** მახარაძისა, რძლები: **დარო** და **მართა** ღლონტი და სიძეები: **მოსე** ეგნატეს ძე მიქელაშვილი და **სერგო** ნიკოს ძე მახარაძე.

დაკრძალვა მოხდება 19 აგვისტოს გონების კარის ეკლესიაში. სოფელ გომში.

„ახალი კლუბი“

სამშაბათს 18 აგვ. და შაბათს 22 აგვ.

ორი გასტროლი

საიმპერატ. თეატრის არტისტ ქ-ნ ა. მ. პასხალოვასი

**ანონსი:** 29 აგვ. გაიმართება გაძლიერებული კონცერტი და ბენეფისი სიმფონიურ ორკესტრის მთავარი დირიჟორის

ი. პ. ფალიაშვილისა

იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი

„კაფე პარიზი“

გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ-დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით.

სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

პირველხარისხოვანი

სასადილო

„კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ყავა**, ყოველგვარი **ცხელ-ცხელი საუზმე** დილის 9 საათიდან 12 საათამდე. **სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენერბური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

გადაწერას საწერ მანქანის საშვალებით და საწერ მანქანაზე

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

# ომის დღიური

## მიმოხილვა

12, 13, 14 და 15 აგვისტოს ბრძოლის ველზე მეტად მნიშვნელოვანი და საგულისხმო ამბები მოხდა.

გერმანელებმა თავის უკიდურეს მარცხენა წვერზე, რიგის სამხრეთ აღმოსავლეთით კვლავ წინ წამოიწიეს. მეტად ცხარე ბრძოლის შემდეგ, რომელმაც რამდენიმე დღე გასტანა, მოახერხეს წინ წამოწევა და მოადგნენ ქ. ფრიდრიხშტატს, რომელიც მდებარეობს მდ. დვინზე რიგის სამ.-აღმოსავლეთით 60 ვერსზე. თუ მოპირდაპირემ განახორციელა თვისი დიდი ხნის მისწრაფება და ხელთ იგდო მდ. დვინა ამ ადგილას, მას საშვალება ეძლევა მის მიერ აჩემებულ ხერხით—შორეულ მოვლით ხელთ იგდოს დვინის მთელი ხეობა და აქედან დაემუქროს პსკოვ-პეტროგრადისკენ მიმავალ გზებს. უფრო სამხრეთით გერმანელები მოადგნენ ვილნოს ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან 15 ვერსით, ხოლო ვილნო-ბელოსტოკის რკინის გზას—4 ვერსით, ვინაიდგან დღევანდელ დეპეშაში ნახსენები ნოვი ტროკი მდებარეობს ამ მანძილზე იმ სადგურიდან, სადაც თავს იყრის ორი გზა: ზემოხსენებული ვილნო-გროდნო-ბელოსტოკისა და ვილნო-კოვნნოსი. ცხადია რომ ვილნო-ბელოსტოკის გზით რუსის ჯარს სარგებლობა აღარ შეუძლიან. ეს ჯარი—გაშლილი შუა ნემანსა, ზემო ბუგისა და ზემო ნარევის ხეობებში, მოდის აღმოსავლეთით ორი რკინისა და რამდენიმე შარა გზით, ხოლო ვილნოს მიმართულებით სამხრეთისკენ მომავალი მოპირდაპირე ამ ჯარის მარჯვენა წვერს ემუქრება და ლამობს მას უყელოს სადმე.

13 და 14 აგვისტოს ბელოსტოკის მიდამოებსა და ზემო ბუგის ნაპირებზე უკანმავალთა ბრძოლა იყო. თვითონ ბელოსტოკი იმდენად შეწეულია ბრძოლის პირის დასავლეთით, რომ რუსის ჯარის მიერ მისი დაცვა ხელსაყრელი არ იქნებოდა,

უფრო სამხრეთით 13 და 14 აგვ. უკანა მავალნი იბრძოდნენ ბელოვეჟის ტყისა და კობრინის მიდამოებში.

რუსის ჯარმა ააფეთქა ციხე ბრესტ-ლიტოვსკის სიმაგრენი და წამოვიდა აღმოსავლეთისკენ. გერმანელთა შტაბი იუწყება, ვითომ ეს ციხე მათ მიერ იერიშით ყოფილიყოს აღებული, მაგრამ რუსის მთავარი შტაბი ამას უარჰყოფს და ამტკიცებს, ეს ციხე ნებაყოფლობით დავტოვეთო. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან კოვნოსი და ნოვოგეორგიევსკის აღების შემდეგ მეტად მოკლე ხანში, ამ ციხეში ძლიერ მეციხოვნე რაზმის დატოვებას მნიშვნელობა არ ექნებოდა, რადგან იგი მოპირდაპირეს უმძლავრეს არტილერიას დიდ ხანს ვერ გაუძლებდა. ამ ციხის აღებით მაკენზენის დიდმა ჯარმა გზა გაიკაფა აღმოსავლეთისაკენ.

ბებ-ერმოლის ჯარმა კოველის აღების შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ იბრუნა პირი და მიაღწია ლუცკისა და სტარო როჟიცეს ხაზს (კოველ-როვნოს გზაზე). ამით იგი ემუქრებოდა მოვლით რუსის იმ ჯარს, რომელიც გაშლილი იყო მდ. ზოლოტაია ლიპასა და დნესტრზე, ამიტომ ეს ჯარიც დაიძრა აღმოსავლეთ გალიციიდან.

მ. ბ—ლი.

## დეპეშები

**თბილისი, 14 აგვ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 12 აგვისტოს ზღვის ნაპირა რაიონში, რუსების მზვერავებმა გადალახეს მდინარე არხავე და ხელსასროლ ყუმბარებით გაანადგურეს ოსმალთა მოდარაჯე რაზმი. რუსების მოტორიანმა ნავმა და ნაღმოსანმა ჩაძირეს ორი დატვირთული იალქნიანი გემი. ოლთისის მიმართულებით სროლაა. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.**

**თბილისი, 15 აგვ. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 13 აგვისტოს მთელ ფრონტზე მოწინავე რაზმების შეტაკება ხდება, სროლა გრძელდება.**

**თბილისი, 16 აგვისტო. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 14 აგვისტოს ზღვის პირა რაიონში ოსმალონი შეეცადნენ შემოტევის დაწყებას, მაგრამ დამარცხდნენ და დიდის ზარალით უკან დაიხიეს. რუსების მოტორიანმა ნავმა ოსმალთა იალქნიანები დაჰლუპა. ოლთის მიმართულებით ოსმალებმა სროლა აუტეხეს რუსის მზვერავებს. დანარჩენს პირზედ შეტაკება არ მომხდარა.**

**პეტროგრადი, 14 აგვ. ოფიციალი. რიგის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. ბაუსკ-ბირჟის მიმართულებით გერმანელები 12—13 აგვ. ენერგიულად ეკვეთნენ რუსის ჯარებს და ფრიდრიხ შტადტზე წამოვიდნენ. ამ ორ დღის განმავლობაში დაწყებული სასტიკი ბრძოლა სწარმოებს ტაუერ-კალნნუიგრეტის მხრით რკინის გზის გადასაჭრელად. დვინსკის მიმართულებით, დვინსკ-პონევოჟეს ჩრდილოეთით რკინის გზაზე რუსის ჯარებმა 13 აგვისტოს შეავიწროვეს გერმანელები. 12 აგვ. ვილნის მიმართულებით საგრძნობელი ცვლილება არ მომხდარა. შუა ნემანზე და ბობრ-პრიპიატის ზემოდ რუსის ჯარები ბრძოლით მიდიან უკან-უკან. გერმანელთა მკაცრი და მეტად ენერგიული იერიშები 13 აგვისტოს ბელოსტოკის რაიონში მოგერებულ იქმნა რუსების მიერ. მათ დიდი ზარალი მოუვიდათ. ბრესტის რაიონში ბრძანების თანახმად სიმაგრენი და ხიდები აფეთქებულ იქმნა, ხოლო ციხის მცველი გარნიზონი შეუერთდა საველე ლაშქარს. გალიციაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა.**

**პეტროგრადი, 14 აგვისტო. ოფიციალი. ბერლინის ზოგიერთ ტელეგრამებში ნაუწყებია, ვითომც ბრეს-ლიტოვსკი ალყის შემდეგ დაცემულიყოს. ეს მართალი არ არის. საქმე ის არის, რომ ასი ათასი კაცის მომწყვდევა ციხეში უაზრობა იქნებოდა. რაც უფრო ძვირფასი რამ გვქონდა, დროზე გავიტანეთ, ხოლო ბუგის მარცხენა ნაპირის სიმაგრეებს იმდენად ვიკავებდით, რამდენადაც ეს საჭირო იყო, რომ ჩვენს ლაშქარს შესძლებოდა დაუბრკოლებლივ დახევა აღმოსავლეთისკენ. როდესაც ეს შესრულებულ იქმნა, ციხეც და ხიდებიც ავაფეთქეთ, ხოლო მეციხოვნენი შეუერთდენ დანარჩენ ლაშქარს.**

**15 აგვისტო. ოფიციალი. რიგის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. ფრიდრიხშტადტის მიმართულებით სასტიკი ბრძოლა გრძელდება. გერმანელები სცდილობენ რკინის გზისაკენ გაიჭრნენ კრეეცბურგ-მიტავის ხაზზე. ვილნოს გზით, ვილიის მარჯვენა ნაპირზე და ამ მდინარისა და ნემანის შუა 13—14 აგვ. განმავლობაში გერმანელებს მკაცრი იერიში მოჰქონდათ. რუსები კონტრიერიშებით აკავებდნენ. შუა ნემანზე და ბობრ-პრიპიატის შუა 13—14 აგვ. განმავლობაში რუსის ჯარები განაგრძობდნენ უკან დახევას, თანაც ბრძოლით აჩერებდნენ გერმანელებს. გერმანელები უმთავრესად იერიშებს ავითარებენ ბელოსტოკის ჩრდილოეთით, ბელოვეჟსკის ტყის დასავლეთით და კობრინის გზით. ბუგის მარჯვენა ნაპირზე 13 აგვ. ვლადიმირ-ვოლინსკის რაიონიდან გერმანელები იერიშით წამოვიდნენ ტორჩანის მიმართულებით, ლუცკის დასავლეთით, მდ. ლუგზე და პორიცკზე. ამ ფრონტზე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. ზემო ბუგზე, ზოლოტოი ლიპაზე და დნესტრზე 14 აგვ. ღამით და მეორე დღეს გერმანელები სცდილობდნენ რუსებზე იერიშით წამოსულიყვნენ. განსაკუთრებით მკაცრი იერიში მოჰქონდათ ბრზეჟანის ჩრდილო რაიონში და პოდგაიცის დასავლეთით, სადაც გერმანელები გამაგრდნენ ზოლო- ტოი ლიპაზე.**

**პეტროგრადი, 16 აგვ. ოფიციალი. რიგის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. ფრიდრიხსშტადტის მიმართულებით ამ უკანასკნელ დღეებში მკაცრი ბრძოლის შემდეგ რუსის ჯარები გადავიდნენ წინდაწინვე განმზადებულ ამ ქალაქის უკანა პოზიციებზე. იაკობშტადტის და დვინსკის მიმართულებით ჩრდილოეთით მდგომარეობა უცვლელია. ვილიის მარჯვენა ნაპირზე, მისსა და ნემანის შუა სასტიკი ბრძოლა 15—14 აგვ. პოდბერეზიეს მზგავსად სწარმოებდა. ვილნის ჩრდილოეთით, ნოვიე ტროკისა, მანუშიშკისა და ნემანის გასწვრივ ბრძოლა არ შეწყდარა. 15 აგვ. და შემდეგ დღეს აქ მხოლოდ საარიერგარდო ბრძოლა ხდებოდა. გერმანელები კარგა ძალების მოკრების შემდეგ შეეცადნენ იერიშით წამოსულიყვნენ ვლადიმირ-ვოლნსკის სამხრეთით, ლუცკ-სტაროე როჟიცეს მიმართულებით, რომ გალიციაში მყოფ რუსთა მარჯვენა ფრთისთვის მოეარნათ. რუსებმა ამის შესაფერი ჯართა გადაჯგუფება მოახდინეს. გადაჯგუფება ჰხდებოდა 14—15 აგვ. ლუცკის ჩრდილო დასავლეთით. რუსებს ამ დროს ესხმოდათ არტილერია.**

# ჟურნალ-გაზეთებიდან

### ტალაატ-ბეის ოპტიმიზმი.

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის კორესპონდენტისათვის უთქვამს ოსმალეთის შინაგან საქმეთა მინისტრს: ჩვენი სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობა ისეთია, რომ უკეთესის სურვილიც არ შეიძლებაო ბულგარ-ოსმალეთის შეთანხმებაც უკვე მომხდარი ფაქტი ყოფილა. რუმინეთის შესახებ მინისტრს უარი უთქვამს ცნობების მიცემისა. ხოლო სომხების შესახებ ტალაატ-ბეის უთქვამს: სომეხ რევოლიუციონერთა დევნაში ჩვენ არავითარს სისასტიკეს არ ვიჩენთ; ჩვენ ვმოქმედობთ მხოლოდ ენერგიულად: სომხების მიერ მიტოვებულ ადგილებში ვასახლებთ ოსმალებსაო.

### კოვნოს აღება.

კოვნოდან გამოქცეულები ასე ასწერენ ციხის იერიშებს: როგორც ვიცით, განსაკუთრებით 1 აგვისტოდან დაიწყო გერმანელთა გაафთრებული იერიშები. ამ დღეს აიღეს ერთი ფორტი. ამ ფორტის წინაალმდეგ გერმანელებს 600 ზარბაზანი აემუშავებინათ. ყუმბარები ისეთი სისწრაფით მოდიოდა და ისე ხშირად, რომ ტყვიის წვიმა გეგონებოდათ. გერმანელთა ბატარეები წარმოადგენდნენ უშველებელ რკალს. ქალაქშიც ჰაეროპლანებმა იწყეს ტრიალი. მათგან გადმოგდებული ყუმბარები იქაურობას ანგრევდა. სულ 30 ჰაეროპლანი და 3 ცეპელინი დასტრიალებდა კოვნოს და განუწყვეტლივ ისროდნენ ყუმბარებს.

### გერმანეთის რაიხსტაგში.

რაიხსტაგში განიხილეს კანონპროექტი „საზოგადოებათა უფლების გაფართოების“ და „უცხო ენათა ხმარების“ შესახებ. ეს კანონპროექტი დიდის ხმის უმეტესობით, მემარჯვენეთა და ნაციონალ-ლიბერალთა წინააღმდეგ, მიღებულ იქმნა. კანონპროექტი „უცხო ენათა ხმარების“ შესახებ უმთავრესად პოლონელთა გულის მოსაგებად შეიტანესო, დასძენს სააგენტო.

რაიხსტაგის მომავალი სხდომები გადადებულია 17 ნოემბრისათვის.

### 6 მილიარდი.

„ფოსიშე ცაიტუნგ“-ს როტერდამიდან ატყობინებენ: შეთანხმებულმა სახელმწიფოებმა დაუკვეთეს ამერიკის შეერთებულ შტატებს 6 მილიარდ ფრანკის საქონელი იტალიამ დაუკვეთა ნახევარ მილიარდის სამხედრო მასალა, საფრანგეთმა—1½ მილიარდისა, ხოლო რუსეთმა და ინგლისმა—ორ-ორ მილიარდის.

### რკინის ფული.

გერმანეთის სახელმწიფო კავშირის საბჭომ დაამტკიცა კანონპროექტი რკინის 5 ფენიგიანების (დაახლოვებით 2 კაპეიკიანის ღირსებისაა) კვეთისა და ხალხში გავრცელებისა. რკინის ფული პირველად შემოდის ხმარებაში გერმანეთში.

### ზავის პირობები.

ციურიხის სოციალისტურმა გაზეთმა, „Volksrecht“-მა დასტამბა „ყოვლად საიდუმლო“ საბუთი, რომელიც 20 ივნისს გერმანიის მთავრობისთვის წარუდგენია ორს ორგანიზაციას, გაზეთის აზრით, ნაციონალ-ლიბერალებისა და კონსერვატიული პარტიის კომიტეტებს. ამ საბუთში აღნუსხულია სასურველი ზავის პირობები:

„საფრანგეთის საზღვრის რადიკალი გასწორება, ბელფორიდან ზღვის პირამდე. მადნებისა და მაღაროების ექსპროპრიაცია შემოერთებულ ადგილებში. შემოერთებულ პროვინციების ფრანგთა მოსახლეობის ჩამოშორება საიმპერიო პოლიტიკიდან. დიდი სამხედრო კონტრიბუცია, რომ საფრანგეთმა ველარ შესძლოს გერმანიის ახალ მტრებისთვის ფულის სესხება. ბელგიის შემოერთება იმავე პირობებით, ექსპროპრიაციითა და მოსახლეობის ჩამოშორებით საიმპერიო პოლიტიკისაგან.

ავტონომია პოლონეთს, სადაც განკერძოებული იქნება რუსეთის წინააღმდეგ სამიჯნო ზონა, რომელიც მარტოდმარტო გერმანელებით უნდა იქმნას დასახლებული. ბალტიის სანაპიროების შემოერთება. ეკონომიური კავშირი გერმანიისა ავსტრიასა და ოსმალეთთან, რომელიც ბალკანეთის სახელმწიფოებზედაც უნდა გავრცელდეს.

ეგვიპტის დაბრუნება სუეცის არხიანა ოსმალეთისთვის.

შექმნა გერმანიის მიერ აფრიკის დიდი იმპერიისა, რომელიც კონგოსაც უნდა შეიცავდეს და რომელიც უნდა უწევდეს ოსმალთა მიწა-წყალს აფრიკაში. ინგლისზე უზარმაზარი კონტრიბუციის დადება, რომელიც მას წაართმევს ფინანსიურ და კომერციულ ცენტრის როლს.

### „ლიტვის სამეფო“.

„Daily News“-ს პარიზიდან ატყობინებენ, ვილჰელმს თავში უტრიალებს რუსეთისა და პრუსიის ლიტვის გაერთიანების იდეა „ერთ ლიტვის სამეფოდ“. განზრახვა აქვს ლიტვის სამეფო ტახტზე დასვას თვისი შვილი, პრინცი იოახიმი.

### ევლოგის მიერ წამოყვანილნი.

კიევის გუბერნიაში მყოფ გალიჩელებს (გალიჩი გალიციის ქალაქია) შეეკითხა მთავრობა, თანახმანი არიან ისინი თუ არა ციმბირში თავისუფალ ადგილებზე დასახლების. გამოირკვა, რომ ციმბირში გადასახლების პროექტი ვერავითარ თანაგრძნობას ვერ ჰპოულობს გალიციელთა შორის.

### გერმანელ ს.-დ.-ების ზავის პირობები.

„ფორვერტს“-ის ცნობით, რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატების ფრაქციამ შემდეგი ზავის პირობები დაიმუშავა:

1. გერმანეთი დაიტოვებს ყველა იმ ტერიტორიას, რომელიც მას ომამდის ეკუთვნოდა ევროპაში თუ სხვა ქვეყნებში.

განსაკუთრებულ შენიშვნაში ნათქვამია, რომ გერმანეთმა არაფრის გულისთვის არ უნდა დაუთმოს საფრანგეთს ელზას-ლოტარინგია.

2. აგრეთვე ძველ საზღვრებში დარჩებიან ავსტრო-უნგრეთი და ოსმალეთი.

3. კოლონიალ-პოლიტიკაში ღია-კარის პრინციპი უნდა აღიაროს ყველა სახელმწიფომ.

4. ყველა მნიშვნელოვანი სრუტე საერთაშორისოდ უნდა იქმნას აღიარებული.

5. საერთაშორისო ხელშეკრულობით ყველა ერს უნდა მიენიჭოს ზღვაოსნობის თავისუფლება.

შემდეგ „ფორვერტს“-ი მოგვითხრობს, რომ ს.-დ.-ები გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ყოველნაირ ანექსიას და მოითხოვენ მუდმივ სამედიატორო სასამართლოს.

ზავის პროგრამა სხვა მუხლებსაც შეიცავს თურმე, მაგრამ „ფორვერტს“-ის აზრით ყველა ამ მუხლების გამოქვეყნება ჯერ ნაადრევია. (ბირ. ვედ.).

### „რკინის ჯვრიანი“ სოციალ-დემოკრატი.

ბერლინიდან იტყობინებიან, რომ რეიხსტაგის დეპუტატი დრ. ზიუდეკუმი ცნობილი წინამძღოლი გერმანელ სოციალდემოკრატებისა, ეხლა კი დასავლეთის ფრონტის ოფიცერი, დაუჯილდოებიათ პირველ ხარისხის „რკინის ჯვრით“. როგორც ვიცით, ეს უმაღლესი ჯილდოა, რომელიც შეუძლიან მიიღოს კაცმა ბრძოლის ველზე. (ბირ. ვედ.).

### საბერძნეთის ნეიტრალიტეტი.

საბერძნეთის ყოფილს ვაჭრობის მინისტრს ეფტახიასს უთქვამს „ბერლინერ ტაგებლატ“-ის ათინელ კორესპონდენტისათვის: ჩვენ არ ვიცით, თუ რას უპასუხებს სერბეთი შეთანხმებულ სახელმწიფოთ, მაგრამ მათი გადაწყვეტილება ვერავითარს გავლენას ვერ იქონიებს საბერძნეთის გადაწყვეტილებაზე. ბულგარეთიც კი რომ მიემხროს მოკავშირეთ, ესეც კი არ იქნებოდა საკმაო საბუთი იმისა, რომ ჩვენ ნეიტრალიტეტი დავარღვიოთ. რასაც შეთანხმებულნი ჩვენა გვპირდებიან ეს იგივეა, ვითომც „ცაში მომფრინავ წეროს“-ს გვპირდებოდნენ. ყოველ შემთხვევაში დიდი უბედურება იქნებოდა ჩვენთვის, ჩვენ რომ „იმედები“ „დაკარგვაზედ“ გავცვალოთ. (ბირ. ვ.).

### შოკოლადი „კაიე“.

რუსეთის შტაბის უმთავრესი გამგეობა 16 აგვისტოს ოფიციალად აცხადებს: ბრძოლის უკადრის საშუალებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის ახალი ხერხი გერმანელებისა, რომლითაც ისინი სცდილობენ ყალბი ცნობები გაავრცელონ და აგიტაცია გასწიონ მოპირდაპირე სახელმწიფოს ხალხში ზავის ჩამოსაგდებად. გერმანეთის შოკოლადის ქარხანა „კაიე“, ფოტოგრაფიული ქაღალდების „ლეფოტოვიკ“-ის ფირმა და სხვა თავიანთ ნაწარმოებებში ახვევენ პროკლამაციებს და ამგვარად უცენზუროდ ჰგზავნიან ნეიტრალ სახელმწიფოებით რუსეთში. ეს პროკლამაციები მრავალ ყალბს ცნობებს შეიცავენ და შიშის ზარსა სცემენ საზოგადოებას. ამიტომ გენერალშტაბის უმთავრესი გამგეობა აფრთხილებს ხალხს და ურჩევს ჯეროვან კრიტიკით და უნდობლობით მოეპყრას ამისთანა ცნობებს.

საქართველო
წლის დამლევამდე ღირს 4 მ.; 1 ოქტომბრამდე—2მ. 25 კ.; ერთი თვით—90 კ.
ფოსტის ადრესი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, 4. ფოშტის ყუთი 76.

საქართველო
წლის დამლევამდე ღირს 4 მ.; 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ.; ერთი თვით—90 კ.
ფოსტის ადრესი: თბილისი, მოსკოვის ქუჩა, 4. ფოშტის ყუთი 76.

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**პეტროგრადი**, 14 აგვ. თავმჯდომარეობს როძიანკო.

განსახილველია განცხადება შინაგან საქმეთა მინისტრისადმი მისამართით, რათა დაუყოვნებლივ გამორკვეულ იქმნეს, თუ რა ზომები იქნება მიღებული მთავრობის მიერ დაწესებულებათა, ერობათა მოსამსახურეთა და საქალაქო თვითმართველობათა ორგანოების საევაკუაციოდ. (პირველად ეწერება შინგარევი); მეორე საკითხია მიმართვა კავკასიის მეფისნაცვლისადმი, თუ რა ზომები იქნება მიღებული რათა ოსმალეთ-სპარსეთიდან გამოქცეულ სომხებს დახმარება აღმოუჩინონ (პირველად ეწერება პაპაჯანოვი).

განიხილავენ განცხადებას ს. დ. ხუთი წევრის დასჯის გამო პეტროგრადის სასამართლოს პალატის მიერ.

**ჩხენკელი** მხარს უჭერს განცხადებას და საჯაროდ სთვლის, რომ სათათბიროდან ხუთი წევრის დათხოვნა, ისიც ცრუ ბრალდების გამო, დიდი შეურაცხყოფაა თვით სათათბიროსი და მის ძირითად უფლებათა გაქრლვის თანასწორიაო. მიუხედავად ამისა სახელმწიფო სათათბირო, მიუხედავად ს. დ. არაერთ ბეჯითი მოთხოვნილებისა, დღემდის არავითარ ზომებს არ იღებს ამ ძალდატანების წინააღმდეგ და სისტემატიურად ამ საკითხის განხილვას გვერდს უხვევსო. ორატორი მოითხოვს, რომ კომისიას მიენდოს შემდეგისათვის წარმოადგინოს მოხსენება, რათა თვით სათათბირომ განსაზღვრული პოზიცია დაიჭიროს ამ ხმამაღლად მღაღადებელ ფრაქციის წინაშე. ამ უსამართლოდ დასჯილ დეპუტატების დაბრუნებას მხარს უჭერს მთელი მუშათა კლასი, ამის დასამტკიცებლად ორატორს მოჰყავს მუშათა მთელი რიგი განცხადებანი. მთავრობა კი, ორატორის სიტყვით, ნებასა რთავს ახალ-ახალი მსხვერპლი შეიწიროს დაჰხვრიტოს, როგორც ივანოვო-ვოზნესენსკი ასზე მეტი კაცი დაჰშავდა იმ დღეს.

**კერენსკი** აცხადებს, რომ უდანაშაულოდ დასჯილ დეპუტატებისთვის ბრძოლა აგერ ნახევარ წელიწადზე მეტია რაცა სწარმოებს. თვით ბრალდება ამ დეპუტატთა წინააღმდეგ ყალბია, ესე, რაიც შეიძლება აიხსნას პროვოკაციულ მიზნით, რათა მუშებში არეულება მოეხდინათ. ორატორის მიერ მრავალი ზომა იქნა მიღებული ახლად დანიშნულ შინაგან საქმეთა და სამართლის მინისტრის წინაშე, რათა საქის სინამდვილე სწორედ გაეშუქებინა, მაგრამ მაინც არა იქნა რა... სათათბირო მეტად მძიმე მომენტს განიცდის. იგი მთელი თავისი ძალღონით უნდა შეებრძოლოს ყოველგვარ პროვოკაციას... საჭიროა დაუყოვნებლივ მორიგ საკითხად წამოყენებულ იქმნას ამნისტია.

**მაკლაკოვი**, როგორც კომისიის თავმჯდომარე, აცხადებს, რომ იუსტიციის მინისტრს მართლა ეუწყა კომისიის განცხადება. სახ. სათათბირომ მოითხოვა დაუყოვნებლივ წარმოდგენილ იქმნეს საგანგებო მოხსენება. მაგრამ, როგორც სათათბიროს წევრი, ამ წინადადების წინააღმდეგია შემდეგის მოსაზრებით: რა თქმა უნდა, ს.-დ. წინააღმდეგ ამხედრება დიდი სახელმწიფო უტაქტობა იყო, მათი დასჯაც, თქმა არ უნდა, როგორც ს.-დემოკრატებისა, დიდი ცოდვაა ჩვენი იუსტიციისა, ისიც ეჭვს გარეშეა, რომ ცოდვა გასწორებული უნდა იქნეს, მაგრამ სწორედ ამიტომ სახ. სათათბირომ თავი უნდა შეიკავოს ამ საკითხის გამორკვევისთვის. ხომ მართალია, რომ თვით სათათბიროს არ ძალუძს განაჩენის გაუქმება, რომ ღირსება და უფლება აყრილ ხალხს არ შეუძლიანთ სათათბიროში გასვლა და რომ სათათბიროს არ შეუძლიან თავნებობა გამოიჩინოს. ჩვენ სახეში გვექნება კონსტიტუციური კონფლიქტი სამოსამართლო და საკანონმდებლო სფეროთა შორის. კონსტიტუციურ ნიადაგზე ბრძოლას კი შეუძლიან დეპუტატთა ბედი სულ ერთიანად დასჩრდილოს.

მხოლოდ უკიდურეს მემარჯვენეთ შეუძლიანთ მოითხოვონ ამ საკითხის სწრაფი წამოყენება იმ განზრახვით, რომ ჯვარზედ გააკრან გასამართლებული დეპუტატები. ვიდრე კომისიას არ ჩაუთვლია ისინი სახელმწიფო სათათბიროს და გამორიცხულებად, სათათბიროში მათი კვლავ შემოსვლის გზა დახშული არ არის, თუ მთავრობა გააუქმებს განაჩენს, ისინი სათათბიროს დაუბრუნდებიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ კომისია არსებითად საქმის განხილვას შეუდგება და იძულებული გახდება სასამართლოს განაჩენს ანგარიში გაუწიოს, ამ დეპუტატებს სათათბიროს წევრობის უფლება აღარ ექნებათ, თუნდაც სრული ამნისტია გამოცხადდეს. სათათბირომ უნდა დაუცადოს, რადგან გასაკეთებელია ჯერ კიდევ რაღაც და ეს გასაკეთებელი უნდა აუცილებლივ გაკეთდეს.

**ჩხეიძე** მოაგონებს, რომ დასჯილი დეპუტატები მუშათა პარტიას ეკუთვნოდნენ, მათი ასეთი ... ავტორულ მომენტისაგან ფრიად სჭირია სათათბიროს. ორატორი მოუწოდებს სათათბიროს სთქვას გადაჭრით, ჰსურს თუ არა მფარველობა გაუწიოს მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ხალხთა წარმომადგენლობის იდეას არაფრად აგდებს. ყოველ შემთხვევაში აქ მხოლოდ ერთი გზაა: დეპუტატები უნდა სათათბიროს დაუბრუნდნენ.

**მარკოვი მეორე** განაცხადებს, რომ სასამართლოს დასჯილნი ვერ დაბრუნდებიან სათათბიროში, ვიდრე სასამართლოვე არ აღადგენს უფლებებს.

**კერენსკი** უპასუხებს მარკოვს, რომ დემოკრატიას ვერავინ უსაყვედურებს, ვითომც მას თავისი მოვალეოლეობა არ შეესრულებინოს სამშობლოს წინაშე. ვინ გაჰბედავს და მეტყვის, ვითომც მე ვარღვევ სახელმწიფო წესწყობილებას, ის მაშინ ისე არ მიპასუხებდა, როგორც ჩვეულხარ აქნობამდე პასუხი გასცეთ.

მარკოვი ადგილიდან. მე ამისი არ მეშინიან და გთვლით მკვლელობის მოქომაგედ.

თავმჯდომარე მარკოვს წესიერებისკენ მოუწოდებს.

**კერენსკი** დასასრულს ამბობს: „დღეს, როდესაც მტერი უახლოვდება ჩვენს მიწა-წყლის გულს, დაივიწეთ უთანხმოებანი, დაივიწყეთ კლასობრივი პოზიციები, გახსოვდეთ მხოლოდ სამშობლო და უთხარით მათ: ხელი აიღეთ, გაგვეცალენთ“ (ტაში მარცხნივ).

**შულიგინი** მეორე, ინაწილებს მაკლაკოვის აზრს და წინადადების წინააღმდეგ მიდის. შულიგინი სათათბიროს 5 წევრთა დატუსაღებას სთვლის სახელმწიფო შეცდომად (ხმები: „ვაშა!“) არავითარ სახელმწიფოებრივ მოსაზრებით არ შეიძლება ხალხი მხოლოდ იმიტომ დაისაჯოს, რომ ს. დემოკრატებს ეკუთვნიან. თუ მთავრობა ამ გზას დაადგება, მაშინ იგი ყველას თანაბრად უნდა მოექცეს და სამსჯავროს წინაშე წარადგინოს ყველა არალეგალ პარტიის წევრები, ვინც სათათბიროში მოქცეულან.

(გაგრძელება იქნება).

# ახალი ამბავი

**თათბირი.** 15 აგვისტოს თათბირი ჰქონდათ თბილისის ცნობილ მეღვინეთა ფირმების წარმომადგენელთ, რომელსაც დაესწრნენ: „კახეთიის“ წარმომადგენელი, „მელაანის“ მოთავე, ანანოვის წარმომადგენელი, სესიაშვილი, ად. ბერელაშვილი და სხ. და აგრეთვე წარმომადგენელი კიევის ინტენდანტსტვოსი. კრებას თავმჯდომარეობდა მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი კორვინ-პავლოვსკი. კომიტეტის მდივანმა ვ. ი. რცხილაძემ კრებას მოახსენა, რომ წინადადება მოგვივიდაო კიევის სამხედრო ოლქისათვის ვიშოვოთ 100 ათასი ვედრა წითელი ღვინოვო. კრებაზე გამოითქვა, რომ ამ ხელად თბილისში მოიპოება 35.000 წითელი კახიური ღვინო, ხოლო სულ შეუძლიან კომიტეტს იშოვოს განჯისა, ანაპისა და სხვა რაიონნებთან 150 ათასი ვედრო წითელი ღვინო. ერთი ვედრა კახური ღვინის ფასი ჭურჭლით არის 7 მან 50 კაპ. ინტენდანტსტვოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამ ფულს ვერ გაიღებს ინტენდანტსტვოვო. ამის გამო მევენახეობა-მაღვნეობის კომიტეტმა დეპეშა შეადგინა ინტენდანტსტვოში გასაგზავნად. დეპეშაში ნათქვამია, რომ კახური ღვინო ჭურჭლით შვიდმანეთ ნახევარზე ნაკლებ არ გაიყიდება, ხოლო რაც შეეხება განჯისა და ქიურდამირის ღვინოს, იმას უფრო იაფად იშოვით, მაგრამ იქაური ღვინოები მგზავრობას ვერ აიტანენ და არ გამოგადგებათო. გარდა ამისა კრებამ დაადგინა, რომ იმ შემთხვევაში, როცა მთავრობის ანუ რომელიმე სხვა დაწესებულების მხრივ ბლომა ღვინის მოთხოვნა იქნება, თანხმობით იმოქმედონ მევენახეებმა და მეღვინეებმაო. ამისათვის არჩეულ იქნა ბიურო, რომლის წევრებად არიან ვ. გ. ბერელაშვილი, ი. გ. ბარათაშვილი და „კახეთის“ გამგეობის ერთ-ერთი წევრი.

**ღვინის მოთხოვნა.** მიწადმოქმედების დეპარტამენტის ჯარებისათვის სურსათის დამამზადებელი განყოფილება შეეკითხა თბილისის გუბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტს,—რამდენი შეგიძლიათ გვიშოვოთ წითელი ღვინო და რა ფასებშიო.

✦ **კრება.** ხუთშაბათს, 20 აგვისტოს, უნდა შესდგეს ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭოს კრება, რომელსაც დაესწრებიან კავკასიის სასოფლო სამეურნეო ინსპექტორი ს. ნ. ტიმოფეევი და ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა. კრებამ უნდა განიხილოს საყურადღებო საკითხი შესახებ იმისა, რომ რეალური დახმარება აღმოუჩინონ მოუსავლობისა და წყალდიდობისაგან დაზარალებულ სამეგრელოს მცხოვრებთ.

✦ **საფეიქრო სკოლა.** სოფ. საგარეჯოში, თანახმად ადგილობრივ მცხოვრებთა სურვილისა და თხოვნისა, არსდება საფეიქრო სკოლა. ამ სკოლისათვის კავკასიის სახელსაქმო კომიტეტმა მასწავლებლად დანიშნა ინსტრუქტორი ანნა კაპანაძე. მის ჯამაგირს თვით კომიტეტივე კისრულობს; სკოლის მოწყობილებას ყიდულობს ქართული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება; სასკოლო სახლის შეძენას და დანარჩენ ხარჯებს კისრულობს თითონ სოფელი. ამ 2 დღის განმავლობაში საგარეჯოს მიდიან სახელსაქმო კომიტეტის გამგის თანაშემწე ბ-ნი ლობანონსკი, სამეურნეო საზოგადოების მდივანი ვ. ი. რცხილაძე და მასწავლებლად დანიშნული ანნა კაპანაძე, რომელნიც ადგილობრივ მცხოვრებთა წარმომადგენლებთან ერთად სასკოლო სახლს აარჩევენ, რათა სწავლა ამ შემოდგომიდანვე გაჩაღდეს.

✦ **გამოქცეულთა დასახმარებლად.** მეფის მოადგილემ შუამდგომლობა აღძრა მინისტრთა საბჭოს წინაშე, რომ გამოქცეულთა დასახმარებლად 500000 მანეთი მომეცითო. შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა. ეს 500 ათასი მანეთი მეფის მოადგილემ გადასცა კავკასიის მთავარ კომიტეტს.

✦ **კავკასიის ქალაქთა** კავშირს დღემდე 5 მილიონამდე მანეთი მიუღია თავის მიერ ნაკისრებ საქმეების გასაძღოლად.

✦ **ხარფუხის კლუბის** წევრთ საგანგებო კრება ჰქონდათ 14 აგვისტოს, რომელზედაც გადაწყდა, რომ საწევრო ფული 6 მანეთის ნაცვლად წლიურად იყვეს 8 მანეთი და კლუბის წევრთა რიცხვი 200-ს ნაცვლად 300-დე ავიდეს.

✦ **ხოლერა ბორჩალოში.** მოსულ ცნობების თანახმად, ბორჩალოს მაზრაში გამოქცეულ სომეხთა შორის ხოლერა აღმოჩენილა. თბილისიდან საჩქაროდ გაგზავნეს იქ ექიმი და ფერშლები.

✦ **ხოლერა.** 15—17 აგვისტოს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 9 და ხოლერის ნიშნებით 21 კაცი; გარდაიცვალა 7, საავადმყოფოდან გამოეწერა 6 კაცი. 17 აგვისტოს ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 60 და ხოლერის ნიშნებით 13 კაცი,

✦ **გადამდები სენი.** 17 აგვისტოს ქალაქის თავშესაფარში იმყოფებოდნენ: ქუნთრუშიანი 33, ხუნაგიანი 16, ყვავილიანი 2, საოფლიანი 18, მუცელაიანი 5 და შავი სახადიანი 31 კაცი.

✦ **დაჭრილნი ჯარისკაცნი:** ნუშაშვილი ივანე ალექსანდრეს ძე, იკვაძე კარპეზ ივანეს ძე, ახტურიძე ვასილ ნიკოლოზის ძე, გულიაშვილი ზაქრო გიორგის ძე, სოსელია იოსებ, დიდებულიძე მიხაკო ილიკოს ძე, მეკუაშვილი ივანე ალექსის ძე, ნიკაჭაძე გალაქტიონ საჩ., რატველაძე გიორგი სავლეს ძე, გვრიტიშვილი გიორგი სეხ., ხვინჩიშვილი დათა სამსონის ძე, დგებია ერასტი ბაგოს ძე, სვანიძე ონისიმე ალექსის ძე.

✦ **დაჯილდოება.** უმაღლესად დაჯილდოებულ იქმნენ:

მეოთხე ხარისხის წმ. ვლადიმირის ჯვრით თ-დი მაქსიმე **ქოჩაქიძე,** მესამე ხარისხის წმ. ვლადიმირის ჯვარით აპოლონ **ჯაფარიძე,** მესამე ხარისხის წმ. სტანისლავით კონსტანტინე **გიორგობიანი** და ნესტორ **შავდია.**

ებოძა წმიდა ანნას პირველი ხარისხის ორდენი გენერალ კირილე ქუთათელაძე.

---

# ქართული ეროვნული სახელები

ამ ბოლო ხანს „საქართველომ“ აღძრა მეტად საგულისხმო საკითხი ქართულ ეროვნულ სახელების შესახებ, რომელიც სინოდის ერთ-ერთ “უქაზს” განსაცდელში ჩაუგდია (№№ 63, 67). მრევლსა. სურს თურმე შეინარჩუნოს მამა-პაპათაგან ნაანდერძევი სახელები, მღვდელი კი უარს ეუბნება ამაზე, რადგანაც მას ვერ გამოურკვევია, რომელი სახელია დაკანონებული და ეკლესიისაგან ნებადართული და რომელი არა. მადლობის ღირსია ყველა, ვინც უვიც და უმწეო სამღვდელოებას საჭირო სახელმძღვანელოს მიაწოდებს და ცოტად თუ ბევრად გაანელებს იმ გამწვავებულ ურთიერთობას, რომელიც ამ ნიადაგზე აღმოცენებულა მღვდლისა და მრევლის შორის. ამ უხერხულ მდგომარეობის გაუმჯობესობაში თავის წვლილის შეტანა განუზრახავს, სხვათა შორის, ბ. **ახელს** და ამ მიზნით მას ჯერ კიდევ 1913 წელს მოუთავსებია გაზეთ „ხმა კახეთისა“-ში (№ 48) „ორმოცდა ათამდე ქართული სახელი“ თვისა და რიცხვის ჩვენებით; სია ამ „ქართულ სახელებისა“ მას გადმოუბეჭდია ეხლა „საქართველოში“ (№ 67).

ქართულ საქრისტიანო ონომასტიკონის გამორკვევა—გაშუქება მეტად სერიოზული და თან პასუხ-საგებელი საქმეა; რა პრაქტიკულ მოსაზრებითაც უნდა იყოს გამოწვევული ასეთი მუშაობა, ის აუცილებლად უნდა ემყარებოდეს უტყუარს და ეჭვ-შეუტანელ მასალებს და „არა საქართველოს კალენდარი“-სებურ წყაროს, რომელსაც (ხელთა მაქვს 1905 წლის კალენდარი) რვა ივლისის წმიდათა რიცხვში მოუთავსებია **მირდატ** მეფე († 410 წ.), ის მირდატი, რომელიც, მატიანის სიტყვით, იყო „ურწმუნო და უშიშარი ღვთისა, ლაღი ამპარტავანი... და რომელმაც არა ჰმსახურა ღმერთსა, არღა აღაშენა ეკლესია, არცა რა ჰმატა აღშენებულთა“ (ქართლის ცხოვრება, I, 107). ამიტომ მე განვიზრახე, პირველად ყოვლისა, წმიდა მეცნიერული თვალსაზრისით განვიხილო **ბ. ახელის** „ეროვნულ სახელთა“ სია.

იმ ორმოცდა შვიდ „ქართულ“ სახელინად, რომელიც აღნუსხულია ამ სიაში, ნამდვილი ქართული, ეროვნული, მხოლოდ ორია: **უფლისა,** რომელიც უდრის ბერძნულ კვირიაკეს, და **ღვთისია,**— ბერძნული თეონა. ამას მე მიუმატებდი კიდევ სამ სახელს, რომელსაც დღესაც ატარებს ხალხი: **ღვთის წყალობა,** ან როგორც იმერეთში შემოკლებით იტყვიან, **წყალობა,** რომელიც უდრის ბერძნულ თეოდორეს, **ნათელა**—ბერძნული ფოტინე, და **კაცია**—ბერძნული ანდრია. დანარჩენი ორმოცდა ხუთი სახელი კი ნასესხებია სხვა და სხვა ერთაგან; ებრაელებისაგან: ისე=იესე (დავითი მამა), სიდონია, შალვა=სავლე პავლე, შუშანა=სუსანა (ანტონ კათალიკოზი თავის მარტირიკაში მას პირდაპირ სუსანას უწოდებს), თამარ; (შექმნ. თავ. 38 და 2 მეფ. თავ. 13) ბერძნებისაგან: იორდანე (2 მაისს და 2 თებერვ.), მამია=მამაჲ=მამანტი, ნანა, ნინო, კვირიკე, ბაგრატ=პანკრატი, დარეჯან=დარია; ასურთაგან: შიო=სიმონ, მარი, ბარძიმ=ბარსიმ. ელიზბარი ქართულ აგიოგრაფიაში უდრის ეთიოპიის მეფის ელიზბოის (24 ოკტომბ.) სახელს; დანარჩენები წარმოადგენენ სპარსულ-არაბულ სახელებს. ეხლა ვიკითხოთ: რატომ უნდა ჩაითვალოს „ეროვნულად“ მარტო ეს სახელები და, მაგალითად, პეტრე, ივანე, მიხეილ, სტეფანე, ანნა ევგენი, სერგი და სხვა მრავალი კი არა? ნუ თუ იმიტომ, რომ ანნა, ევგენი და სერგი ეხლა გადაუკეთებიათ „ანიჩკა-ჟენია-სერიოჟებად“? „საქართველოს კალენდრებს“ თუ დაუჯერებთ, ჩვენც გვყოლია ჩვენი ანნა (2 მარტ.) და სერჯი=სერგი (15 აპრ.), და ვისაც „ანიჩკა-სერიოჟა“ მოსწონს, ის „ეროვნულ ანნა და სერგისაც“ ანიჩკა-სერიოჟად შესცვლის. ამაზე ბ. **ახელი** მომიგებს: „ვინ ვისგან შეითვისა ეს სახელები, ამაზე ლაპარაკი უადგილოა მას შემდეგ, რაც მრავალმა მოღვაწეებმა და მოწამეთ საკუთარის სისხლით წმიდა ჰყვეს ეს სახელები და დიდებულად უანდერძეს მშობელ ერს“ (ხმა კახეთისა № 48, 1913 წ.). სრულიად ვეთანხმები ამ დებულებას: წმ. ნინო-თამარ-მირიან-ქეთევან-შუშანიკ-ლუარსაბ-შალვა-არჩილ და ბიძინას შარავანდედ-მოსილმა ვინაობამ ჩვენთვის ძვირფასი და ეროვნული გახადა თვით ეს ნასესხები სახელები; ძვირფასია აგრეთვე ჩვენთვის აბო, რაჟდენ, ესტატე და ათორმეტ ასურელ მამათა სახელები, ვინაიდგან, თუმცა ისინი სისხლ-ხორცით ჩვენ არ გვეკუთვნოდენ, მაგრამ მაინც ჩვენში და ჩვენთვის ილვწოდენ. რა უყოთ ისეთ წმიდანებს, რომლებიც ჩვენ არ გვეკუთვნიან არც სახელით, არც სისხლ-ხორცით და არც მოღვაწეობით, რომლებსაც ჩვენი ეკლესია და ერი თვალითაც კი არ უნახავთ? ასეთებია, მაგალითად, ბ. **ახელის** სიაში—ბერძნები: მამია, კვირიკე და ბაგრატი; სპარსელები: გურანდუხტა და ია; გუთელები: მამიკა, ურიკა, ბათო, თიკო და თეთრა; სომხები: იორდანე (მესუკეველთაგანი), ნესრე და ტარიჭანი. ესენი რა პრინციპის ძალით ჩაეწერენ „ეროვნულ“ წმიდათა რიცხვში და მათი სახელები როგორ გახდა „ქართულ ეროვნულ“ სახელებად?

ასეთია ფორმალური მხარე ამ სიისა; რაც შეეხება მის შინაგან ვითარებას, აქ ზოგიერთა სახელების „წმიდანობა“ განმარტებას თხოულობს. მე არას ვიტყვი აშოტ კურაპალატსა და ვახტანგ გორგასლანზე. აშოტის შესახებ მატიანე მოგვითხრობს, რომ ის 826 წლის 29 იანვარს არაბებმა ეკლესიაში ზედ საკურთხეველზე მოჰკლესო (მატიანე ქართლისაჲ, გვ. 220). რაც შეეხება ვახტანგს, თამარის ისტორიკოსის სიტყვით, „ის აღესრულა ციხესა შინა უჯარმისასა“, რომელიც მან ააშენა (მარიამ დედოფლის ქ.-ცხოვრება, გვ. 385); ისტორიკოს ჯუანშერის სიტყვით, რომელსაც ვახტანგის ზღაპრული ისტორია დაუწერია (პროფ. ი. ჯავახიშვილი—ქართველი ერის ისტორია, წიგ. I, გვ. 190), ის სპარსთა მეფის შემოსევის დროს დაჭრილა და გარდაცვლილა. თუმცა მოტანილი ცნობები ვახტანგის წმიდანობაზე არას ამბობენ, მაგრამ ქართველთა ტრადიციას ის ამ შარავანდედით მაინც შეუმკვია. არსენ კათალიკოზი (XIII საუკ.) ამბობს: „და იყო იგი (ვახტანგი) ფრიად შემკული ღმრთის-მსახურებითა და კეთილად-მორწმუნებითა“ (ცხოვრ. წმ. ნინოსი, საეკლ. მუზ. გამოცემა, გვ. 48) წმ. რაჟდენის აგიოგრაფი მოგვითხრობს: „რამეთუ ამან (რაჟდენმა) რა ილუაწა ქრისტესთვის ღვაწლი იგი უკუდავებისა, შემდგომად მისსა უძლეველმან მან მეფემან ვახტანგ, რამეთუ **მანცა გვირგვინი მოწამობისა შეიმოსა** ხელითა ულმრთოთა სპარსთათა ქრისტესთვის და სჯულისა მისისათვის“ (საბინინის „საქართველოს სამოთხე“, გვ. 171). ეს ჯუანშერისებური ტენდენცია უფრო ვრცლად არის გატარებული საეკლესიო მუზეუმის ერთს ხელნაწერში № 425, გვ. 74—75), სადაც ჩვენ ვკითხულობთ: „ჟამთა რაოდენთამე მეფე იქმნა დიდი ვახტანგ გორგასალ და ბრძოდა პონტით ქალაქსა დიდსა ზღვის კიდესა. და მიწევნულ იყო ანძიანძორისა ქუეყანასა. ხოლო ერთსა ოდენ დღესა ილოცა და დაწვა: მირულებასა შინა იხილა დიდი წმიდაჲ გრიგოლი და ხმა-უყო: ვახტანგ. უმეტესი მორწმუნე იყო შენ ყოველთა შორის ნათესავთა სპარსთა. მეორედ შენგან აღეშენენ ეკლესიანი და განეწესნენ ეპისკოპოზნი და მამათ-მთავარი. მესამედ **გვირგვინი წამებისა მიიღო:** მაშინ ვახტანგ ძლიერნი სახელნი და საქმენი ქმნნა. რომელნი ვერვინ იყო შემძლებელ მისა. და უკანაჲსკნელ მოვიდა ქალაქად თვისად მცხეთად და აღაშენა შუენიერად. განავრცო და განადიდა დიდი ესე კათოლიკე ეკლესია მოციქულთა. სუეტი ცხოველი საკათალიკოზოდ. რომელსა შინა იკურთხევიან მეფენი და მღვდელთ-მთავარნი და ეპისკოპოზნი. და მიეცემის ყოველთა ქრისტეანეთა მადლი და კურთხევა. **ხოლო ჟამსა სიბერისასა მიიღო წამებისა გვირგვინიცა ვახტანგ**“ (შეადარე ქ.-ცხოვრ, I, 121-122 და ვახუშტის „საქართველოს ისტორია“, გვ. 93-93). ამნაირად, თუმცა საქართველოს ეკლესიას აშოტის და ვახტანგის სახელები ოფიციალ ონომასტიკონში არ შეუტანია და მათ სადიდებლად არც დღესასწაული დაუდგენია და არც საგალობლები შეუთხზავს, მაგრამ მოტანილი საბუთები ნებას გვაძლევს, თანახმად ხალხში დარჩენილ ტრადიციისა, ისინი ჩავრიცხოთ წმიდანებში; მხოლოდ არსად, არავითარ წყაროში ნაჩვენები არ არის, რომ ვახტანგის ხსენება აღესრულება 30 ნოემბერს, როგორც ამას უჩვენებს ბ. **ახელი.** ჩემის აზრით, თუ თვისა და რიცხვის ძებნა საჭირო დარჩა, უმჯობესია მისი ხსენება პირველ ოკტომბერს დავდვათ, რადგანაც ბემომოყვანილი ლეგენდა აღნიშნულ ხელნაწერში სწორედ პირველ ოკტომბერის ქებაა ნაამბობი.

(დასასრული იქნება)

დეკ. კ. კეკელიძე.

---

# ქალაქის საბჭო

(საგანგებო კრება)

**13 აგვისტო.**

კრება გაიხსნა. თავ. ა. მ. არღუთინსკის თავმჯდომარეობით. განსახილველია საკითხი ხოლერის შესახებ. თავმჯდომარემ ვრცელი მოხსენება წარუდგინა კრებას ეპიდემიის მსვლელობისა და იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც ქალაქის თვითმართველობას უხმარია ეპიდემიის გავრცელების წინააღმდეგ. როგორც მოხსენებიდან სჩანს, 11 ივლისიდან 13 აგვისტოს დილის 8 საათამდე აღმოჩენილა ხოლერიანი 114 კაცი; აქადან გარდაცვლილა 45, მორჩენილა 7, საავადმყოფოში იმყოფება 62 და საეჭვო 4.

შემდეგ თავმჯდომარემ საბჭოს წარუდგინა შემდეგი ანგარიში გამგეობის მიერ მიღებულ ღონისძიებათა ეპიდემიის წინააღმდეგ: 1) ეთხოვოს სამხედრო უწყებას დაუყოვნებლივ აცნობოს ქალაქის გამგეობას ყველა შემთხვევა ხოლერის ნიშნების აღმოჩენისა ჯარისკაცთა შორის; 2) სანიტარულის მხრივ წყლის უზრუნველყოფა მიენდოს ექ. თარხანოვს და ინჟინერ ვაწაძეს; 3) გამოეცხადოს ქალაქის მცხოვრეთ, რომ წყლის ჭურჭელი შეიძინონ, რათა ღამითვე დაიმზადონ საკმაო წყალი, ვინაიდან დღით წყალი ცოტაა; 4) დაევალოს გამგეობის წევრს ჯაბარს, იშოვოს სანიტარული ეტლები ნაგვის გასაზიდად ეზოებიდან; 5) მიენდოს ექ. მუხარინსკის მუდამ დღე ბაქტერიოლოგიურად გამოიკვლიოს წყალსადენის წყალი; 6) გამგეობამ შეიძინა საგანგებო ეტლები ხოლერიანის მისაყვანად ქალაქის თავშესაფარში; 7) გამგეობამ გააძლიერა ექიმთა რიცხვი ნავთლუღში; 8) რათა ხოლერიანები სრულიად მოშორებული იყვნენ სხვებისაგან, პირველნი მოთავსებულ იქმნან ქალაქთა კავშირის მიერ აგებულ თავშესაფარში; 9) დაევალოს ქალაქის ქიმიკოსს გ. ალიბეგოვს, მოიწვიოს სანიტარული ექიმები და მზრუნველები და მათთან ერთად ითათბიროს ეპიდემიის გავრცელების წინააღმდეგ; 1) ეთხოვოს ბ-ნს გუბერნატორს განკარგულება გამოსცეს, რომლის ძალით ყველა დაწესებულებასა და სავაჭრო-სამრეწველო სახლში ნადუღი წყალი უნდა იქონიონ სასმელად მაგრად თავდაცულ ჭურჭელში; 11) ეთხოვოს ბ-ნს გუბერნატორს, რომ სახლის პატრონებმა წყლის კრანი არ დაკეტონ არც დღით და არც ღამით; 12) გაძლიერებული თვალ-ყურის დევნება დაწესდეს სანოვაგეზე; 13) გაძლიერებულ იქმნას თვალ-ყურის დევნება კვასის ქარხნებსა და წყაროს წყლებზე; 14) ავჭალის აუზების რაიონში საგანგებო ექიმი დაინიშნა სანიტარულ წეს-რიგის დასაცავად; 15) ეზოების სუფთად შესანახად გამგეობამ 6 აგენტი დანიშნა; 16) გამგეობამ გაამრავლა მუშათა რიცხვი ხევების, მოედნების და სხ. ადგილთა დასასუფთავებლად; სადეზინფექციო კამერის შტატიც გაადიდა; 17) დაწესდა ექიმთა და ფერშალთა მორიგეობა; 18) დაარსა გამგეობამ უფასო საჩაიეები, რაც 12 აგვისტომდე დალევდა 60,076 ჭიქა ჩაის; იქვე მსურველთ მუქთად ეძლევათ ადუღებული წყალი და სხ. გარდა ამისა გამგეობის აგენტებს მრავლად შეუდგენიათ ოქმები ვაჭრებზე და კერძო მემამულეებზე სანიტარულ წეს-რიგის დარღვევისათვის და სხ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა, როგორც თავმჯდომარემ აღნიშნა, ადგილობრივი მთავრობა კმაყოფილი არ არის ქალაქის თვითმართველობის მოქმედებით. ქალაქი ზედი-ზედ წინადადებას ღებულობს, რომ ენერგიული ღონისძიება იხმარეთ ქალაქის სისუფთავის დასაცავად, რათა ხოლერა ზედმეტად არ გავრცელდესო. ასე, მაგალითად, კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსის, გენერალ-ლეიტენანტის ვოლსკისაგან, თბილისის გუბერნატორს ქაღალდი მოსვლია, რომელშიაც ბ-ნი ვოლსკი ამბობს, რომ მე თვითონ დავათვალიერე ქალაქის ყველა უბანი და ბევრგან დიდი უსუფთაობა ვპოვეო. ამის გამო გენერალი ვოლსკი სთხოვს გუბერნატორს, ძალა დაატანეთ ქალაქის გამგეობას, რომ პირველ აგვისტომდე ყველა ადგილი გასუფთავდეს ქალაქშიო. მიუხედავად ასეთი ბძანებისა, მიმდინარე აგვისტოში მაინც ბევრს ადგილას უნახავს უსუფთაობა და ხელმეორედ აღნიშნავს რა ამას, ამბობს თავისს ქაღალდში, რომ გამგეობას უმოქმედობა ემჩნევა და თუ დაუყონებლივ არ გაუსუფთავებია ქალაქი, კავკასიის ჯარების მთავარ-სარდალს მოვახსენებო. გარდა ამისა, მეფის მოადგილის თანაშემწე ბ-ნი პეტერსონი და ბ-ნი თბილისის გუბერნატორიც უსაყვედურებენ გამგეობას და წინადადებას აძლევენ, რომ მომეტებული ხოლერა გამოიჩინე ქალაქის სისუფთავის დაცვაშიო. თბილისის პოლიცმეისტერიც თავის მხრივ გამგეობის უსაქმობას აღნიშნავს და ამბობს, რომ ხოლერა თანდათან ვრცელდება, ერთი უბნიდან მეორეში გადადის და ქალაქის გამგეობა კი ყურსაც არ იბერტყავსო.

გაიმართა კამათი. გამგეობასთან ერთად ბ-ნნი ვესელოვზოროვი, ავთანდილოვი და სვეშნიკოვი ამტკიცებდნენ, რომ ხოლერას წელს ეპიდემიური ხასიათი არა აქვს თბილისში, ხოლერა სრულებითაც არა ვრცელდება, არავითარი საშიშროება არ მოგველის და ქალაქის თვითმართველობის მიერ მიღებული ღონისძიება სრულიად საკმარისი არისო. არ. ს. ბაბოვი, პ. ა. გოთუა, ბ-ნი ლუნკევიჩი და მაზმანოვი წინააღმდეგ აზრს ადგნენ. ხანგრძლივ კამათის შემდეგ საბჭომ მიიღო ხმ. ვესელოვზოროვის წინადადება: გამგეობის მიერ მიღებული ღონისძიებანი სრულიად საკმარისი არისო.

ამის შემდეგ კრებამ განიხილა თავ. გ. მ. თუმანოვის წინადადება შესახებ იმისა, რომ შუამდგომლობა აღიძრას, რათა ვარშავის პოლიტეხნიკუმი დროებით თბილისში იქმნას გადმოტანილი. წინააღმდეგი აზრი გამოსთქვეს ხმოსნებმა ევანგულოვმა, მიტკევიჩმა, ბაბოვმა და გოთუამ. ესენი ამტკიცებდნენ, რომ პოლიტეხნიკუმის გადმოტანა თბილისში შეუძლებელია, რადგან აქ იმისათვის შესაფერისი შენობა არ მოიპოება, აგრეთვე არ მოიპოება ბინა სტუდენტებისათვის, ბიბლიოთეკა; ამასთანავე თბილისი ბრძოლის ველიდან 18 საათის სასიარულოზეა და ვინ იცის ჩვენაც რა მოგველისო და სხ. თუმანოვის წინადადება შეწყნარებულ იქმნა.

---

**მარტყოფის წვრილი სესხის ამხანაგობის რევიზია.**

ამა წლის 7 და 8 თიბათვეს მარტყოფის წვრილი სესხის ამხანაგობის საბჭოს წევრებმა მოახდინეს რევიზია შესავალ-გასავალ დავთრებისა და კასისა მარტყოფის წვრილი სესხის ამხანაგობისა თანადასწრებით მისი გამგეობის წევრებისა, და აღმოჩნდა შემდეგი:

1) შესავალ-გასავლის ფულის დავთრები არის ნაწარმოები წესიერად.

2) მთლად ავეჯეულობა 473 მან. და 17 კ., რომელიც არის ნაჩვენები წვრილი სესხის ინსპექტორის—ჩხეიძის რევიზიის ოქმში 9, 10 და 11 ქრისტიშობისთვის 1914 წ. აღმოჩნდა სრულად გარდა ერთი ძველი კასისა, რომელიც მიუყიდნიათ მარტყოფის მომხმარებელ საზოგადოებისთვის 80 მან., ახლად შეუძენიათ ერთი საანგარიშო სჩოტი 4 მან. და 40 კ. და ფეჩი 20 მან. მთლად ავეჯეულობა დღევანდლამდის შეადგენს 417 მან. და 57 კაპ.

3) პასუხის საგებელი ხელწერილები იმყოფება თავის წესზედ, მხოლოდ არ არის მათზედ ნაჩვენები ფასი ქონებისა.

4) მომხდარ ხარჯებზედ გამგეობისაგან არის გასამართლებული საბუთები.

5) არის სია მთელი ქონებისა.

6) კასსა იკეტება ორი გასაღებით, რომლიდგანაც ერთი მათგანი ინახება გამგეობის თავჯდომარესთან და მეორე —გამგეობის წევრთან.

7) რევიზიის დღეს ირიცხებოდა 878 წევრი.

8) ბალანსი რევიზიის დღეს აღმოჩნდა:

**პასსივი:**

| | |
|---|---|
| საკუთარი ძირითადი თანხა. | 2150 მ. 85 კ. |
| ძირითადი თანხა. . . . | 4000 „ „ „ |
| თანხა სხვა და სხვა დანიშნულებისა . . . . . | 220 „ „ „ |
| შეტანილი შესანახად . . | 9481 „ „ „ |
| სათადარიგო თანხა . . . | 1100 „ „ „ |
| სესხი. . . . . . . . | 36600 „ „ „ |
| მოგება და სარგებელი. . | 3177 „ 05 „ |
| დასაბრუნებელი თანხა. . | 282 „ 69 „ |
| ბალანსი . . . . | 57013 მ. 25 კ. |

**აქტივი:**

| | |
|---|---|
| სესხი . . . . . . . | 55558 მ. „ კ. |
| ქონება . . . . . . | 420 „ „ „ |
| ხარჯები . . . . . . | 551 „ 61 „ |
| კასსა . . . . . . | 483 „ „ „ |
| ბალანსი . . . . | 57013 მ. 25 კ. |

9) ჯამი გაცემული სესხისა ეთანხმება ჯამს ბარათებით გაცემულ ვალს, რომელნიც ინახება კასსაში.

10) კასსაში აღმოჩნდა ფულად 483 მ. და 64 კაპ., რაოდენიც უნდა ყოფილიყო.

11) გამოუსყიდავ ბარათებში აღმოჩნდა ორი გაუსყიდული ბარათი, რომლებიც არ დაჰბრუნებია ჯეროვან პირთა.

12) ვადა გაგრძელებულ ბარათებზედ არ არის ნაჩვენები დრო გაგრძელებული ვადისა და არც ხელმოწერილია ხაზინადრისგან და საქმის მწარმოებლისგან და არც ნაჩვენებია ჯამი გაგრძელებული ვალისა.

13) სესხი 500 მან., გატანილი ადგილობრივი მამასახლისისაგან საზოგადოებისთვის, ჯერაც არ არის შემოტანილი, თუმცა ვადა გასვლია ოთხი თვის წინათ. გამგეობის წევრებს მარტო სიტყვით უთხოვნიათ სესხის შემოტანა და სხვა კანონიერი ღონისძიება კი არა მიუღიათ რა.

14) იანვრიდან ამა წლისა დღევანდლამდის აღმოჩნდა ვადა გასული ბარათები 3045 მ., რომლის სარგებელიც-კი არ არის შემოტანილი, გამგეობის წევრების მჭერ, თუმცა გვიან, მაგრამ მაინც მიღებულია ზომები აღნიშნული სესხების დასაბრუნებლად,

15) ვალის ბარათები დაწერილია უწერილია უწესოდ, საჭიროა მათი დაწყობა ნომრებლივ და ვადებზედ.

16) საანგარიშო წიგნაკები სესხის გაცემისა და მიღებისა ხელმოუწერელია გამგეობის წევრებისგან, ხელი ხაზინადს უნდა ეწეროს. პირი ამა ოქმისა უნდა გაეგზავნოს წვრილი სესხის ინსპექტორს.

წამგეობის შევრები, მღ. ა. ეპიტაშვილი, პეტრე ჰირაშვილი და დიმიტრი ხიმშიევი.

საბჭოს წევრება: დ. თუშმალოვი, ტ. პანჯავიძე და ა. ძაძაშვილი.

საქმე წვრილი სესხის ამხანაგობისა კარგად არის დაყენებული და იგი არ ჩამოუვარდება, თუ არ აღემატება იმ ამხანაგობებს, რომელნიც გაუხსნიათ მასზედ უფრო ადრე და ნდობაც დაიმსახურა როგორც მთავრობისა, აგრეთვე თავის წევრებისგანაც.

უფრო კარგა იქნება საქმე, რომ ყველა წევრი ამხანაგობისა იყოს გულშემატკივარი ამ კეთილი საქმისა და ყველას თავის დროს-ვადებზედ შემოჰქონდეს თუ თავნი არა, სარგებელი მაინც; უნდა აღვნიშნოთ, რომ უპირო წევრები არიან უფრო ინტელიგენტთაგანი და სხვებზედ უფრო გაბედულნი.

ასეთი მაგალითები მეტად სახიფათოა; ნათქვამია: წამწყმინდა მიხედულობამაო, სხვებიც ასეთი ხალხის მიხედულობით არ შემოიტანენ გატანილ სესხს და ამხანაგობა იზარალებს, და შეიძლება კიდეც დაირღვეს და ბოლო მოეღოს ამისთანა მაგალითების განმეორებით. იგინი, როგორც განათლებულნი პირნი, უნდა იყვნენ სხვა წევრების მაგალითად პირნათლობაში და არა ასეთ დაუდევრობაში.

**ერთი მათგანი.**

## დეპეშები

**თეირანი,** 13 აგვისტო. ინგლისის და რუსეთის ელჩები მფარავ რაზმის თანხლებით კენგევერიდან ხამადანისკენ წამოსულან. მფარავ რაზმს შესამჩნევი ზარალი მოსვლია. (როგორც ეტყობა, გზაზე თავს დასხმიან მოწინაალმდეგენი).

**ტამბოვი,** 14 აგვისტო. სახელმწიფო საბჭოს სადეპუტატო კანდიდატად სამღვდელოებას ამოურჩევია დეკანოზი დიმიტრიევსკი.

**თეირანი,** 13 აგვ. გერმანიის ვიცე-კონსული შიუნემანი გათენებისას შეიარაღებულ ბრბოთი თავს დაესხა რუსეთის და ინგლისის კონსულებს კენგევერში. ჟანდარმები დახმარებას ვერ ეწევიან, რადგანაც, ამ ბოლო დროს მათ თავს ესხმიან თითქმის ყველგან. მინისტრთა საბჭომ მოიწვია სპარსეთის ყაზახთა ბრიგადის უფროსი, რათა დაუყონებლივ დასძრას ჯარი სენედან. სამწუხაროდ სენე კენგევერიდან ოთხ დღის სავალში იმყოფება.

**პეტროგრადი,** (დაგვიანებულია). სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ გერმანიაში ამ ჟამად საომარ მასალის დამზადებას არ აფართოვებენ, რადგანაც თურმე მათ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს 71 ქარხანა, რომელიც ომის დასაწყისშივე იქმნა აშენებული.

**ლონდონი,** 14 აგვ. ლოიდის სააგენტო აცხადებს, ინგლისის გემი „პალმგროვ"-ის დაღუპვას.

**პეტროგრადი,** 13 აგვ. რუსულ ნაციონალთა ფრაქციიდან გამოსულ წევრთა პირველი კრება შესდგა, ახალ ჯგუფს სახელად დაერქმევა ნაციონალების პროგრესიული ჯგუფი. თავმჯდომარედ არჩეულია ბობრინსკი, მის ამხანაგად—შმიაკოვი.

**ლონდონი,** 14 აგვ. გაზეთების ცნობით სამხრეთ უელსში დღეს მაღაროებში 10,000 მომუშავე გაიფიცება.

**სტოკჰოლმი,** 14 აგვ. ინგლის-შვეციის შორის მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებდა ორი ინგლისელი დელეგატი, რომელიც ინგლისს დაბრუნდა მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. დელეგაციის სხდომა გადაიდო მათ დაბრუნებამდე.

**მინსკი,** 15 აგვისტო. მინსკის ოლქის უფროს გამგეს სავალდებულო დადგენილება გამოუცია, რომლითაც 3000 მან. ჯარიმა, 3 თვით დაპატიმრება ან გადასახლება მოელის ყველა იმას, ვინც დაჰფარავს ხურად ფულს (ვერცხლს) და უარს იტყვის ქაღალდის ფულის მიღებაზედ. ასეთივე სასჯელი მოელის ყველას, ვინც მავნე ხმების გავრცელებით სახელმწიფო კრედიტის დაცემას ხელს შეუწყობს.

**პარიზი,** 15 აგვისტო. ოფიციალი. სუშესა და ნეკილის გარშემო ღამით ძლიერი საარტილერიო ბრძოლა მოხდა. არგონებში ფრანგთა არტილერიამ არა ერთხელ ჩააჩუმა გერმანელების ზარბაზნები, რომელნიც სცდილობდნენ ფრანგთა თხრილების დანგრევას. დანარჩენ ფრონტზე ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. ფრანგი მფრინავნი ესროდნენ შატელის რკინის გზის სადგურს.

**სოლუნი,** 15 აგვ. სომეხთა პატრიარქმა ინახულა შეიხ-ულ-ისლამი და სთხოვა სომეხთა რბევა შეაჩერეთო. თხოვნამ უშედეგოდ ჩაიარა.

## ჩვენი ცხოვრება

**ბათუმი.** აჭარლების სასარგებლოდ „ძმური-სიტყვის" გაყიდვის დღემ კარგად ჩაიარა ბათომში—ყულაბებში აღმოჩნდა 885 მან. და 62 კაპ. იმავე „ძმურ-სიტყვაში" მოთავსებულმა წერილმა ა. ჩხენკელის „სამი შეხვედრა" ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რადგანაც მასში ბევრმა თავის-თავი იცნო.

ამ ჟამად ბათომის ქუჩებში გაცხარებული მუშაობაა. სთხრიან და იღებენ დიდი ხნის დაჟანგებულ წყლისსადენ მილებს. ამუშავებენ ოსმალოელ ტყვეებს, რომელთაც დღიურად ხელფასი ათ-ათი შაური ეძლევათ.

სასწავლებლები, რომელნიც ქუთაისში იყო გადატანილი, უკვე გადმოიტანეს თავისი კანცელარიებით და მალე შეგირდების განმეორებითი გამოცდა დაიწყება.

აჭარიდან ჩამოსულები გვიამბობენ, ხილი დამწიფებულია, სცვივა და ლპება, პატრონი და დამკრეფი კი არავინ არისო...

სამწუხარო მოვლენაზედ მინდა მივაქციო ამ ჟამად საზოგადოების ყურადღება. ეს რამდენი ხანია, რაც ბათომში არსებობს ქართული სასწავლებელი, მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი შვილების აღზრდის საქმეში, სწავლა კარგად იყო დაყენებული. ვის არ ახსოვს ისიდორე რამიშვილის მასწავლებლად ყოფნა აქ, მისი კეთილი გავლენა მოსწავლეებზედ!.. არც უკანასკნელ დროს იყვნენ ურიგო მასწავლებლები. ბევრი საწყალი მუშის შვილი გამოიზარდა ამ სასწავლებელში. ათიათასობით მუშა ტრიალებდა ბათომის ყოფილ ქარხნებში. ეს სასწავლებელი აძლევდა მათ შვილებს პირველ დაწყებითს და უკანასკნელ სწავლასაც... ამ სასწავლებელში ნამყოფ შეჰქონდათ მდაბიო ოჯახებში ქართული წიგნი თუ გაზეთი და უღვიძებდნენ მათდამი კითხვის სურვილს. ბევრი ქართველი მაჰმადიანიც აღზრდილა აქ. ამისი ერთი მაგალითი ჰაიდარ-ბეგ აბაშიძეა, რომელმაც კიდევაც აღიარა თავის წერილში „რამ შემაყვარა მე ქართული" (თეატრი და ცხოვ. № 6) ისე არსად რიგიანად ქართულ წერა-კითხვას არ ასწავლიდნენ, როგორც ამ სასწავლებელში.

და აი ასეთი **საეროვნო** სასარგებლო სასწავლებელი **დაიკეტა** დღეს. ამბობენ უსახსრობის გამო, მაგრამ ეს დაუჯერებელია. მოწადინება იყოს, თორემ სახსარს ყოველთვის გამონახავენ... არც ერთი ღარიბი წრის ხალხი წლიურად **სამ** მანეთს არ დაიშურებს სასწავლებლისთვის. აქაურები ბევრნი იმის მომხრეა, რომ ქართული სასწავლებლები ახლა აჭარაში უნდა გაიხსნას, აქ კი—უსარგებლოა—უნდა დაიკეტოსო. აჭარაში სასწავლებლების გახსნის წინააღმდეგ, რა თქმა უნდა, არავინ იქნებოდა, მაგრამ რაღას ეუბნებიან ბათომელ ღარიბ ხალხის შვილებს, რომელთათვისაც სხვა სასწავლებლების კარები დაკეტილია?..

**ტრ. ი—ძე.**

---

**ს. დიდი-ჯიხაიში.** ძველი მამასახლისი, რომელსაც აქ ადგილობრივ ინტელიგენციისთვის თავშესაქცევი სამიკიტნო ჰქონდა გამართული, გადაყენებულ იქმნა და მის ადგილას არჩეულია უფრო მცოდნე და გამჭრიახე ბ. სანაძე, რომლის მოქმედებითაც სოფელი, ჯერჯერობით მადლიერი და კმაყოფილია.

ამასწინად მოტანილი სიმინდი მეტად უვარგისი გამოდგა. წრევანდელ მოსავლის შესახებ გამორკვევით ვერას ვიტყვით. ზოგან ჰირნახულს სანუგეშო პირი აქვს, ზოგან კი ჩაყვითლებული და გაფუჭებული.

**ი. იმერელი.**

---

**ს. ბუკის ციხე.** (ოზურგეთის მაზრა) სოფელ „ბუკის ციხე" მდებარეობს მდ. „სუფსის" ნაპირზე, ოზურგეთის მაზრის აღმოსავლეთით. იგი გარშემორტყმულია გორაკებით და ძველ ისტორიულ ციხით, რის გამოც ამ სოფელს ეწოდა სახელი „ციხე". ჩვენი საზოგადოება დაახლოვებით შესდგება 900 კომლისაგან. შიმშილის შავმა აჩრდილმა უკვე მოიცვა მთელი საზოგადოება. მართალია, აქ დარიგდა გლეხებზე მაღაზიის ფული, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია მათ გაჭივრებაზე ისიც ხარკ მკრეფელმა წაიღო დარიგების დროს. როგორც გლეხებმა, ისე აზნაურებმა ითხოვეს დახმარება საიმპერიო თანხიდან, მაგრამ გადის სამი თვე, დამშეულების სიებიც წარდგენილია, დახმარება კი არსად სჩანს. ხალხის გაჭირება დღითი დღე მატულობს. კარგი იქნება, რომ დაპირება სისრულეში მოვიდოდეს და მთავრობა მიაქცევდეს ჯეროვან ყურადღებას. სადგურ საჯევახოში მოდის სიმინდი ვაგონობით, მაგრამ ფულიც რომ იყოს თავის დროზე ვერ ვშოულობთ და ისიც დამპალია, რის გამოც გაჩნდა მუცელა და ბევრიც იმსხვერპლა.

აღსანიშნავია, რომ ბ. ქავთარაძის რწმუნებულები სადგურ საჯევახოს ნამეტან ცუდად იქცევიან. იმათ აქვს სიმინდის საწყობი სხვა და სხვა ალაგას. კარგი ხარისხის სიმინდს უფრო ვაჭრებს აძლევენ (ალბათ სარგებლობას ხედავენ ვაჭრებიდან) ვიდრე საზოგადოებებს და მათ რწმუნებულებს. ვაჭრებს მერმედ მოაქვენ და ერთი ორად ჰყიდიან. კარგი იქნება ბ. ქავთარაძე და მთავრობაც მიაქცევდეს ჯეროვან ყურადღებას ამ გარემოებას.

სოფელ ბუკის ციხეს არსებობს მომხმარებელი საზოგადოება „იმედი" ოთხი თვის ანგარიში ნათლად გვიმტკიცებს იმას, რომ საქმე სასურველად მიდის, ოთხ თვეში ყოველივე ხარჯს გარდა მოიგო 300 მანეთამდე (დაწვრილებით ანგარიშს შემდეგ გამოვაქვეყნებთ) იმედია საზოგადოება არ აჰყვება თითო ოროლა პირებს და ღირსეულად დააფასებს მომხმარებელ საზოგადოების მნიშვნელობას. საჭიროა ყველა ამას ანგარიში გაუწიოთ და საამხანაგო დუქანში ვივაჭროთ, რითაც შეგვეძლება გასასყიდ საქონელზე კიდევ პროცენტი დაუკლოთ და უფრო იაფად მივაწოდოთ მომხმარებლებს.

სოფელ „ბუკის ციხის" მცხოვრებმა განურჩევლად წოდებისა იქონიენ მსჯელობა ადგილობრივ მამასახლისის თავმჯდომარეობით დღეობის მოსპობის შესახებ, სახელდობრ „მარიობის" და კიდევაც მოსპეს. ამის შესახებ დადგენილება გამოიტანეს და ხელიც მოაწერეს. დამრღვეველმა მხარემ უნდა გადაიხადოს ხუთი თუმანი. ამიტომ სთხოვენ ყველა ნაც[illegible]თესავებს და მეგობრებს ნუ შეიწუხებენ თავს მობრძანებით.

**დომენტი შარაშიძე.**

---

**სოფ. ატოცი.** (გორის მაზრა). საკვირველია სოფლის შეგნებული ნაწილის საქმე. შეგნებული კი არა, თამამად შეიძლება კაცმა შეუგნებელი დაუძახოს იმისთანა თავად-აზნაურობას, როგორიც სოფ. ატოცშია. იმის მაგივრად, რომ თავისზე უფრო შეუგნებელი გლეხები გაამხნევონ, აუხსნან ამა-თუ იმ საგნის მნიშვნელობა-სარგებლობა, ისინი აღიზიანებენ კიდეცა, და ისედაც ჩამორჩენილ გლეხს განვითარების საშუალებასაც უსპობენ. ძლივს ეღირსათ ატოცელებს ორი წლის წინად სკოლა; ისიც კინაღამ ერთი „კეთილშობილთაგანის" გამო სკოლა არ გაუქმდა, მაგრამ აქ ანგელოზმა აჯობა ეშმაკს, და „გადასწყდა ყოველი შეგნებულისათვის სასურველი სკოლის დაარსება. სწავლა სექტემბრიდან დაიწყო. დროებით შენობა იქირავეს იმ მოსაზრებით, რომ მეორე წელიწადს საკუთარ შენობას აუშენებთო. მაგრამ აგერ ორი წელიწადიც გავიდა და სკოლის შენობის სახსენებელი არსად არის. იხდიან ქირას (წელიწადში 40 მან.). როგორც ეტყობა წელსაც ეგრე აპირობენ, რადგან ისედაც ღარიბ გლეხს არა აქვს იმდენი შეძლება, რომ ამისთანა დროს, როცა ქვეყანა ინგრევა, ყველაფერს გაუძლვეს.

დიდი უთანხმოებაა აქაურებში. ორ ბანაკად გაიყვნენ: „ერთნი მოითხოვენ სკოლის გადასახადისაგან განთავისუფლებას, ესენი არიან უშვილოები, რომელთაც არავინა ჰყავთ სკოლაში მოსწავლე. უნდა შევნიშნო, რომ ამათში ბევრი „კეთილშობილიც" ურევია. მეორენი კი, უფრო შეგნებულნი, მოითხოვენ: თუ გადახდაა, ყველამ უნდა გადიხადოს, როგორც პირობა იყოო. აზნაურები უარჰყოფენ ამას და არა ჰსურთ გადახდა. გლეხებს კი იქაური მთავრობა ძალაუნებურად ახდევინებს. კარგი იქნება, თუ მთავრობა „კეთილშობილებსაც" კანონიერად მოექცევა და თავის წილს გადაახდევინებს.

თუ ერთ ნაწილს ვერ შეუგნია და ვერ გაუგია სკოლის მნიშვნელობა, მეორე დასწაფებია სწავლას და კიდეც უგემნია სკოლის გემო. კმაყოფილნი არიან და იძახიან, საცა აქამდის გავიჭირვეთ, ცოტა მოვიცადოთ, ქვეყანა დაშოშმინდება და ღმერთი მოწყალეაო. როგორ ესიამოვნებათ ხოლმე, როცა იმათი პატარა შვილი ომიდან მოსულს წერილს ჩაურაკრაკებს, როგორ ესიამოვნებათ ხოლმე, როცა ისე, მარჯვეთ უანგარიშებს პატარა ბიჭიკო!

სასიამოვნოა, რომ სკოლაში მოსწავლენი გულმოდგინეთ ეპყრობიან საქმეს. ეტყობა მასწავლებელს შრომა არ დაზარებია და ბავშვებისათვის მტკიცედ ჩაუნერგავს გულში დედა ენა, შეუსწავლებია რუსული წერა-კითხვა და ცოტაოდენი ანგარიში.

გლეხის ქონი ასეთ გაჭირვებაში კიდევ გასაგებია, ხოლო საქვეყნოდ გასაკიცხი და დასაგმობი არიან ის აზნაურები, რომელთაც წელიწადში ორი მანეთის გადახდა უჭირთ და სხვებსაც არიგებენ: სკოლა რად გინდათ, დავკეტოთო.

**იქნამყოფი.**

## შემოწირულება

ეპისკოპოსმა კირიონმა შესწირა ათი თუმანი ვაჟა-ფშაველას ფონდს, ხოლო ათი თუმანი დაზარალებულ აჭარლებს.

მღვდელმა ნასყიდაშვილმა აჭარლებისავე სასარგებლოდ—ერთი თუმანი.

ეს ფული ალექსანდრე ყიფშიძეს მოუვიდა ეპისკოპოს კირიონისაგან ქ. ვიტებსკიდან.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომლებმაც კეთილი ინებეს და ს. ლეხაინდროვის სამკითხველოს შემოსწირეს:

ფარნაოზ ლევანის ძე ხაინდრავამ—გამოიწერა ერთის წლით გაზ. „საქართველო", რემანოზ პავლეს ძე დანელიამ—შემოსწირა ორი ვენური სკამი.

ივანე მეთოდეს ძე ხაინდრავამ გამოიწერა ერთის წლით „სასოფლო გაზეთი".

მადლობის ღირსია აგრეთვე ილარიონ ბართაია რომელმაც თავის სავაჭრო სახლის ერთი ნაწილი დაუთმო სამკითხველოს, სანამ შესაფერი სახლი იქნება აგებული.

**წევრი გრიგოლ მ. ხაინდრავა.**

---

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი.**

---

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 56 „ | „ |
| მელაანიდან | 2 ს. | 16 წ. | საღ. |
| გურჯაანიდან | 2 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან | 3 ს. | 42 წ. | საღ. |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ | 24 „ | „ |
| მელაანიდან | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 5 „ | 13 „ | „ |
| ბილისში | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 2 „ | 58 „ | „ |
| გურჯაანში | 10 „ | 07 „ | „ |

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 | ბათომიდან | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. | 25 წ. | დილ. |
| | „ სააგარ. | 10 ს. | 28 წ. | საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. | 3 წ. | საღ. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 | ბათომისკენ | 8 ს. | 53 წ. | საღ. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |


# თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, მაილოვის-შვით", სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი"** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.


ელექტრომბეჭდავ სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორინსაგა